



ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

2015

ინსტრუქცია

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და მეთოდოლოგია და აკადემიური უნარები. ის 66 დავალებას შეიცავს. ზოგიერთ დავალებას ახლავს სავარაუდო პასუხები, ზოგიერთის პასუხი კი თქვენ თავად უნდა დანეროთ.

პასუხები აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც თან ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ შემდეგ გვერდზე). ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დანერეთ პასუხი.

ზოგიერთი დავალება, ერთი შეხედვით, სპეციფიკურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს, თუმცა, რეალურად ამ დავალებათა შესრულება სავსებით შესაძლებელია პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

დროის ამონურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

გისურვებთ წარმატებას!

სხვადასხვა ტიპის დავალებათა ინსტრუქციები

ტესტში წარმოდგენილი დავალებები სხვადასხვაგვარია ფორმატის თვალსაზრისით. ტესტში შეგხვდებათ:

- დავალებები არჩევითი პასუხებით;
- დავალებები ღია დაბოლოებით;
- შესაბამისობის დადგენის დავალებები;
- თხზულება.

არჩევითპასუხებიან დავალებებში პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

პასუხის მონიშვნისას:

- *პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი;*
- *ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება;*
- *დასვით X ნიშანი ამ უჯრაში.*

თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, ხოლო შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში).

თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.

დავალებები ღია დაბოლოებით მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიადაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით. ამგვარ დავალებებზე პასუხის გასაცემად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილები. **გაითვალისწინეთ:** თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ. თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

შესაბამისობის დადგენის დავალებებში წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე. წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა. შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა. შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის თითოეული დავალებისთვის პასუხების ფურცელზე მოცემულია ცხრილი. თქვენ უნდა შეავსოთ ცხრილის ცარიელი გრაფები – პირობის აღმნიშვნელი ასოს ქვეშ ჩაწეროთ მისი პასუხის შესაბამისი რიგითი ნომერი.

შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

თხზულებაში უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოთ სათქმელი. თხზულების დასაწერად პასუხების ფურცელზე გამოყოფილია საგანგებო ადგილი.

თხზულების მაქსიმალური ქულაა 13.

პროფესიული ცოდნა და მეთოდика

ქართული ენა და ლიტერატურა

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია მარტივი გავრცობილი წინადადება?

- (ა) ვერხვი მუხას გადახვევს მკლავებს.
- (ბ) ციყვი ფულუროში შეძვრა.
- (გ) ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა.
- (დ) ყაყაჩოს ყანა დაუმშვენებია.

2. მასწავლებელმა მოსწავლეებს ჩააწერინა წინადადება – მონადირემ ქორბუდა ირემს ისარი ესროლა – და სთხოვა, ამოეწერათ შესიტყვებები (სინტაქსური წყვილები).

ქვემოთ მოცემულია მოსწავლეთა მიერ ამოწერილი შესიტყვებები. მათგან რომელია არასწორი?

- (ა) მონადირემ ესროლა
- (ბ) ქორბუდა ირემს
- (გ) ირემს ესროლა
- (დ) მონადირემ ისარი

3. მოცემულია რამდენიმე სიტყვა:

1. გაერო 2. ეუთო 3. იუნესკო 4. ნატო

რა ეწოდება ასეთ სიტყვებს?

- (ა) კომპოზიტი
- (ბ) ბარბარიზმი
- (გ) აბრევიატურა
- (დ) ნეოლოგიზმი

4. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული სტილური შეცდომა?

- (ა) წვიმის შემდეგ მდინარემ ხის ნაფოტები გამორიყა.
- (ბ) სოფო გამოქვაბულში შევიდა, რომელში შესვლაც უსაფრთხო არ იყო.
- (გ) მეცნიერმა თავისი ავტობიოგრაფია დაწერა.
- (დ) ემიგრანტები იმედიანი ოპტიმიზმით შეჰყურებდნენ მომავალს.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში/წინადადებებშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

1. ეს მოსაზრება ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის.
2. ცუღს, რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით.
3. საუკეთესო მასპინძლობა გაგვიწია ნინოს ბებიამ, მარიამმა, კეთილშობილმა და დარბაისელმა ქალმა.

- (ა) მხოლოდ პირველში
- (ბ) მხოლოდ პირველსა და მეორეში
- (გ) მხოლოდ მეორესა და მესამეში
- (დ) მხოლოდ მესამეში

6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა ფრჩხილებში მოცემული წყვილიდან და ეს სიტყვა გადაწერეთ პასუხების ფურცელზე.

I. მასწავლებელს კარგად ჰქონდა ----- , თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბავშვების წინაშე.

(გაცნობიერებული – გათვითცნობიერებული)

II. ბანკის თანამშრომლებმა თავიანთი ----- წაუყენეს მენეჯერს.

(მოთხოვნილებები – მოთხოვნები)

III. სამეცნიერო სტატიაში მას ბევრი ახალი ----- შეხვდა.

(მცნება – ცნება)

IV. მოვლენის მისეული ----- არ შეესაბამებოდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებას.

(აღქმა – აღთქმა)

(მაქსიმალური ქულა 1)

7. ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ნაწერი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის მიერ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

არდადეგებზე დედს ზღვის ნაპირზე ხშირად რაკყავდი. იცოდა, ჟერად ქაფებსა თუ ნიყურებს რომ ვაგროვებდი და ფიქრობდა, თავის ხორციელს გაამდიდრებსო. სიხატულით მივყვებოდი, ჩავჯდებოდი ქვიშაში და დიდი გულმოღვინებით ვზინდავდი მუცრის ნიყურებს. დედაც ხალსით მებმახებოდა, შიშვლიდა მის ხაზს უკლავს და უნჯებოდ ჩხრიალით გაუყვებოდი ხორბუ სახლისკენ ვზას.

8. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ზღაპრის სტილურ-კომპოზიციური თავისებურებანი. ჩამოთვალეთ ზღაპრისთვის დამახასიათებელი 4 ტრადიციული ფორმულა / მყარი გამონათქვამი.

(მაქსიმალური ქულა 1)

9. წაიკითხეთ ლექსის ნაწყვეტი:

„რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი“...

ლადო ასათიანის ლექსის ამ მონაკვეთში რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე თანხმოვნები. რომელი მხატვრული ხერხის სასწავლებლად გამოიყენებდით ამ სტროფს?

(მაქსიმალური ქულა 1)

10. პერსონაჟის მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია მხატვრული დეტალის გამოყენება. ქვემოთ ჩამოთვლილია მხატვრული დეტალის სახეები. მიუწერეთ თითოეულს შესაბამისი მაგალითი ლიტერატურული ნაწარმოებიდან/ნაწარმოებებიდან (მიუთითეთ ნაწარმოების სათაური).

(მაქსიმალური ქულა 2)

პორტრეტული დეტალი

საგნობრივი დეტალი

11. დაადგინეთ შესაბამისობა ენათმეცნიერების დარგებსა და მათი კვლევის ობიექტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ობიექტის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ენათმეცნიერების შესაბამისი დარგის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია).

კვლევის ობიექტი

ენათმეცნიერების დარგი

- (ა) სიტყვათა წარმოქმნა და მათი ფორმაცვალება
- (ბ) ენისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებები
- (გ) სასვენი ნიშნების გამოყენება
- (დ) სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება, წინადადების აგებულება

- 1. მორფოლოგია
- 2. სინტაქსი
- 3. სტილი
- 4. პუნქტუაცია
- 5. ფონეტიკა

ა	ბ	გ	დ

12. დაადგინეთ შესაბამისობა ქართველი მწერლებისა და პოეტების სახლ-მუზეუმებსა და მათს ადგილმდებარეობას შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ტოპონიმის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი სახლ-მუზეუმის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია).

ტოპონიმი

სახლ-მუზეუმი

- (ა) წინანდალი
- (ბ) ვარიანი
- (გ) ჭყვიში
- (დ) ტანძია

- 1. სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმი
- 2. გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი
- 3. დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი
- 4. იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი
- 5. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

ა	ბ	გ	დ

13. დაადგინეთ შესაბამისობა ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ავტორის შესაბამისი ნომერი (შესაძლებელია პასუხის გამეორება).

ნაწარმოები

ავტორი

- (ა) მაწანწალა რასმუსი
- (ბ) მარტინ იდენი
- (გ) თამაში ჭვავის ყანაში
- (დ) კალე ბლუმკვისტი
- (ე) გულივერის მოგზაურობა

- 1. ასტრიდ ლინდგრენი
- 2. ჯეკ ლონდონი
- 3. ჯონათან სვიფტი
- 4. ჯერომ სელინჯერი

ა	ბ	გ	დ	ე

14. წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი, ნაწყვეტი ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობიდან და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

„ბავშვები კაფეში“:

მე არაერთი მინახავს ბავშვი
პატარა, როგორც ოქროს წიწილი,
ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში
გაისმის მათი ზარის სიცილი.
მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი –
მშვიერი სახით კაფეში შედის
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი.
მათი თვალები აღარ იცინის,
ხედვაში ხანჯლის არის ციება.
არ ეპატიოს, – კვნესენ ისინი, –
ქვეყანას ჩვენზე შურისძიება.
მათ ნატყვიარი აკრავთ წარბებზე,
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,
ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით.

„გავროში“:

„ჭილობზე სამივე ერთად იწვა. ხომ ისე პატარები იყვნენ, მაგრამ ფეხზე წამოდგომასაც ვერავინ შეძლებდა იმ გალიაში. სანათი ისევ ხელში ეჭირა გავროშს.

– ახლა, ნანა! – უბრძანა გავროშმა, – უნდა ჩავაქრო ჩემი ჭალი.

– ბატონო, – მიმართა გავროშს უფროსმა ბიჭმა და ხელი დაადო ბადეს, – ეს რაღაა?

– ეს ბადეა, ბიჭიკო, თავგების მოსაშორებლად. აბა, ახლა დაიძინეთ! – თან აუხსნა, – ეს ყველაფერი ზოოპარკიდან არის. მხეცებს ეკუთვნის. იმდენი უწყვიათ საწყობში, რომ ვერ გამოლევს ადამიანი. კედელზე უნდა აფოფხდე, ფანჯარაში გადაძვრე, და წამოიდე, რამდენიც გინდა.

ამას ამბობდა და თან საბანს ახურავდა უმცროსს. დაახურა, ამოუკეცა.

– ოჰ, როგორ გავთბი! – წამოიძახა სიხარულით ბავშვმა.

კმაყოფილებით გადახედა გავროშმა თავის საბანს.

– ეს საბანიც ზოოპარკიდან არის, მაიმუნებს ავწაპნე.

მერე უფროსს თავისი ლეიბი აჩვენა. ეს იყო ჭილობი, სქელი და საგანგებოდ დაწნული, რომელზედაც იწვა სამივე.

– ეს კიდევ ჟირაფისა იყო, – თქვა გავროშმა და ცოტა ხანს მიჩუმდა. მერე განაგრძო:

– იმ მხეცებს, ტყის ნადირებს ჰქონდათ ეს ყველაფერი. მეც მივედი და წავართვი, როდი გამიჯავრდნენ. ეს სპილოსთვის მინდა-მეთქი, – ვუთხარი.“

14.1. გალაკტიონის ლექსის რომელ მხატვრულ სახეშია ყველაზე უკეთ გამოხატული ბავშვების განცდა? (ამოიწერეთ ლექსიდან ერთი სტრიქონი.)

(მაქსიმალური ქულა 1)

14.2. რომელი მხატვრული ხერხის სწავლებისას გამოიყენებდით გავროშის სიტყვებს ჰიუგოს მოთხრობიდან? პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 2)

14.3. მიუთითეთ, რა ქმნის კონტრასტს, ერთი მხრივ, გალაკტიონის ლექსში, მეორე მხრივ, ჰიუგოს მოთხრობის ამ ნაწყვეტში?

(მაქსიმალური ქულა 2)

„ბავშვები კაფეში“:

„გავროში“:

14.4. რა მიზნით შეიძლება ასწავლოთ ეს ორი ნაწარმოები ერთად? იმსჯელეთ, რა პარალელს გაავლებდით ამ ორ ნაწარმოებს შორის. პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 2)

მათემატიკა

15. წუთნახევრის მერამდენედი ნაწილია 15 წამი?

- (ა) მეექვსედი
- (ბ) მეხუთედი
- (გ) მეოთხედი
- (დ) მესამედი

16. მასწავლებელმა მეოთხე კლასის მოსწავლეებს შემდეგი ამოცანა შესთავაზა:

„ნიაბ ღვეზელი ოთხ თანაბარ ნაწილად დაჭრა და ორი ნაჭერი დათოს მისცა. გიორგიმ კი იმავე ზომის ღვეზელი შუაზე გაჭრა და ერთი ნაჭერი ანას მიაწოდა. ვის უფრო მეტი ღვეზელი შეხვდა – დათოს თუ ანას?“

ერთ-ერთმა მოსწავლემ მიიჩნია, რომ უფრო მეტი ღვეზელი შეხვდა დათოს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომის ყველაზე ადეკვატური ახსნა?

- (ა) მოსწავლემ არ იცის წილადების შედარება: „დათოს შეხვდა ღვეზელის $\frac{2}{4}$ ნაწილი, ანას კი $-\frac{1}{2}$ ნაწილი. რადგან 2 და 4 მეტია 1-ზე და 2-ზე, ამიტომ დათოს უფრო მეტი ღვეზელი შეხვედრია“.
- (ბ) მოსწავლემ არ იცის წილადის შეკვეცა. მას რომ $\frac{2}{4}$ შეეკვეცა 2-ზე, მაშინ მიხვდებოდა, რომ დათოსა და ანას თანაბარი რაოდენობის ღვეზელი შეხვდათ.
- (გ) მოსწავლე დასკვნას აკეთებს რაოდენობაზე დაყრდნობით: „რადგან დათოს ორი ნაწილი შეხვდა, ანას კი – ერთი, ამიტომ დათოს უფრო მეტი ღვეზელი შეხვედრია“.
- (დ) მოსწავლეს არ აქვს ცოდნა წილადის ჩანაწერების, მთელისა და ნაწილის მიმართების შესახებ.

17. 2 ერთნაირი ვაშლი უფრო მეტს იწონის, ვიდრე 3 ერთნაირი მსხალი. რომელი უფრო მეტს აიწონის – 3 ისეთივე ვაშლი თუ 4 ისეთივე მსხალი?

- (ა) 3 ისეთივე ვაშლი
- (ბ) 4 ისეთივე მსხალი
- (გ) ერთნაირი წონა ექნებათ
- (დ) მონაცემები არაა საკმარისი ამის დასადგენად

18. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს პრიზმის წიბოების რაოდენობა?

- (ა) 6-ის
- (ბ) 7-ის
- (გ) 8-ის
- (დ) 9-ის

19. მოცემული რიცხვის 18-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 17-ის ტოლია. რის ტოლი იქნება ნაშთი ამ რიცხვის 6-ზე გაყოფისას?

- (ა) 2-ის
- (ბ) 3-ის
- (გ) 4-ის
- (დ) 5-ის

20. დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია სივრცეში სწორი ორიენტაცია. ქვემოთ ჩამოთვლილი დავალებების წარმატებით შესრულების შემთხვევაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეს ეს უნარი კარგად აქვს განვითარებული.

- I. აღწერს საგნის მდებარეობას მეორე საგნის მიმართ შესაბამისი ტერმინების გამოყენებით (მარჯვნივ/მარცხნივ/ზემოთ/ქვემოთ).
- II. ასახელებს საგნებს, რომლებიც მის (მოსწავლის) მარჯვნივ/მარცხნივ/ზემოთ/ქვემოთ აწყვია.
- III. განალაგებს საგნებს ერთმანეთის მიმართ მასწავლებლის მიერ მითითებული წესის (მარჯვნივ/მარცხნივ/ზემოთ/ქვემოთ) მიხედვით.


რომელი დავალების შესრულება იქნება ყველაზე იოლი I კლასის მოსწავლეებისთვის მათი ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით?

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) სამივე დავალება ერთნაირი სირთულისა იქნება

21. სულ რამდენია ისეთი ოთხნიშნა რიცხვი, რომლის პირველი ციფრი ნაკლებია მეოთხე ციფრზე 5-ით, ხოლო მეორე და მესამე ციფრებზე – 3-ით?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5

22. ცხრილში 9 უჯრედია. ნიკამ უჯრედებში ჩაწერა რიცხვები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. გამუქებულ უჯრედებში ჩაწერილ რიცხვთა ჯამია 21. რის ტოლია დანარჩენ უჯრედებში ჩაწერილ რიცხვთა ჯამი?




- (ა) 25-ის
- (ბ) 24-ის
- (გ) 23-ის
- (დ) 22-ის

23. ვანო პაპამ თოთხმეტ შვილიშვილს 30 კანფეტი დაურიგა: ბიჭებს თითო-თითო, გოგონებს კი – სამ-სამი. ვანო პაპას შვილიშვილებიდან რამდენი იყო გოგონა?

- (ა) 5
- (ბ) 7
- (გ) 8
- (დ) 9

24. ქვემოთ აღწერილია აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა მათემატიკის გაკვეთილზე გამოიყენა:

- მოსწავლეს მიეწოდება საათის ციფერბლატის რამდენიმე ნახატი ისრების გარეშე. მოსწავლის ამოცანაა, საათის ციფერბლატის ნახატის ქვეშ სიტყვიერად მითითებული დროის მიხედვით სწორად ჩახატოს ისრები.
- მოსწავლეს მიეწოდება ბარათები საათის გამოსახულებით და შესაბამისი წარწერით მასზე აღნიშნული დროის შესახებ (იხ. ნიმუში). მოსწავლის ამოცანაა, ამ ბარათების გამოყენებით დაადგინოს, სწორად ჩახატა თუ არა ისრები წინა დავალების შესრულებისას.



ქვემოთ ჩამოთვლილია 4 სასწავლო მიზანი:

- I. დროის დაკავშირება დღის კონკრეტულ საქმიანობებთან
- II. დავალების დამოუკიდებლად შესრულება და საკუთარი შეცდომების აღმოჩენა
- III. ვიზუალური ნიშნების (როგორც განსაზღვრული ინფორმაციის მატარებელი სიმბოლოების) გამოყენება
- IV. სხვადასხვა ტიპის საათის ცნობა და დროის აღქმა


მათგან რომელია ის ორი მიზანი, რომლებსაც მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები ყველაზე ნაკლებად შეესაბამება?

- (ა) I და II
- (ბ) II და III
- (გ) I და IV
- (დ) III და IV

25. ნატურალურ n რიცხვს ვუწოდოთ **სრულყოფილი**, თუ იგი მისი ყველა გამყოფის ჯამის ტოლია (გარდა n -ისა). მაგალითად, ასეთია რიცხვი 6, რადგან $6 = 1 + 2 + 3$. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია სრულყოფილი?

- (ა) 10
- (ბ) 16
- (გ) 25
- (დ) 28

26. საერთო წვეროს მქონე კვადრატების გვერდებით შედგენილი კუთხეებიდან ერთ-ერთის სიდიდეა 112° (იხ. ნახაზი). რამდენი გრადუსია α კუთხის სიდიდე?



- (ა) 62°
- (ბ) 68°
- (გ) 72°
- (დ) 78°

27. მაკას მეგობრებმა დაბადების დღეზე მიუტანეს სამი სხვადასხვა ფერის კოლოფი, რომელთაგან ერთში საჩუქარი იდო, ხოლო დანარჩენი ორი ცარიელი იყო. თითოეულ კოლოფს სხვადასხვა წარწერა ჰქონდა.

წითელ კოლოფს ეწერა: *ეს კოლოფი ცარიელია.*

ლურჯ კოლოფს ეწერა: *საჩუქარი აქ დევს.*

მწვანე კოლოფს ეწერა: *ლურჯი კოლოფი ცარიელია.*

რომელ კოლოფში იდო მაკას საჩუქარი, თუ ამ წარწერებიდან მხოლოდ ერთია სწორი?


- (ა) წითელში
- (ბ) ლურჯში
- (გ) მწვანეში
- (დ) მონაცემები არ არის საკმარისი კითხვაზე პასუხის გასაცემად

28. A ქალაქიდან გამოსული ავტომანქანა B ქალაქში ისე ჩავიდა, რომ მისი სიჩქარე მთელი გზის მანძილზე 80-90 კმ/სთ-ის ფარგლებში მერყეობდა. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ავტომობილის მოძრაობის დრო, თუ ამ ქალაქებს შორის მანძილი 360 კმ-ია?

- (ა) 3 სთ 45 წთ
- (ბ) 4 სთ 15 წთ
- (გ) 4 სთ 45 წთ
- (დ) 5 სთ 30 წთ

29. ნიკა პირველკლასელია, მას გაუჭირდა შემდეგი დავალების შესრულება:

იპოვე ყველა განსხვავება მოცემულ სურათებს შორის.




მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიკას, ასევე, გაუჭირდება:

- (ა) მეტობისა და ნაკლებობის ნიშნის ერთმანეთისგან გარჩევა.
- (ბ) ციფრების დაკავშირება შესაბამის რაოდენობასთან.
- (გ) მარტივი გეომეტრიული ფიგურების დახაზვა.
- (დ) + და – სიმბოლოების დაკავშირება შესაბამის მნიშვნელობებთან.

30. წრიულ დიაგრამაზე მოცემულია, 2005 წელს ერთ-ერთ ქვეყანაში შემოსულ ტურისტთა რამდენმა პროცენტმა ისარგებლა რკინიგზით, ავტოტრანსპორტით თუ საჰაერო ტრანსპორტით.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის შეკითხვა, რომელზე პასუხის გასაცემადაც საკმარისია წრიულ დიაგრამაზე მოცემული ინფორმაცია?



- (ა) რამდენჯერ მეტმა ტურისტმა ისარგებლა 2005 წელს რკინიგზით, საჰაერო ტრანსპორტთან შედარებით?
- (ბ) რამდენი პროცენტით მეტმა ტურისტმა ისარგებლა საჰაერო ტრანსპორტით 2005 წელს, წინა წელთან შედარებით?
- (გ) რამდენი ათასით მეტმა ტურისტმა ისარგებლა 2005 წელს რკინიგზით, ავტოტრანსპორტთან შედარებით?
- (დ) რამდენჯერ აღემატებოდა იმ ტურისტთა რაოდენობას, რომლებმაც 2005 წელს რკინიგზით ისარგებლეს, იმ ტურისტთა რაოდენობას, რომლებმაც წინა წელს ავტოტრანსპორტით ისარგებლეს?

33. მეოთხე კლასის მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) შეასრულეთ მოქმედებები: I. $2182 - 12 \cdot 40$ II. $1080 : 30 : 3$
 III. $21060 : 60$ IV. $201 \cdot 32$

2) ერთ მწკრივში ერთმანეთისგან 4 მ-ითა და 80 სმ-ით დაშორებული ბლის 8 ნერგია, ხოლო მეორე მწკრივში – 4 მ-ითა და 30 სმ-ით დაშორებული ალუბლის 8 ნერგი. რამდენი მეტრით გრძელია ბლის ნერგების მწკრივი ალუბლის ნერგების მწკრივზე?

3) წრეწირზე მონიშნულია 5 წერტილი. სულ რამდენია ისეთი მონაკვეთი, რომელთა ბოლოები ამ წერტილებშია?


მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $2182 - 12 \cdot 40 = 2182 - 480 = 1702$
 II. $1080 : 30 : 3 = 1080 : 10 = 108$
 III. $21060 : 60 = 351$

$$\begin{array}{r} 18 \\ \underline{30} \\ 21060 \\ \underline{-30} \\ 20760 \\ \underline{60} \\ 20700 \\ \underline{60} \\ 20640 \\ \underline{60} \\ 20580 \\ \underline{60} \\ 20520 \\ \underline{60} \\ 20460 \\ \underline{60} \\ 20400 \\ \underline{60} \\ 20340 \\ \underline{60} \\ 20280 \\ \underline{60} \\ 20220 \\ \underline{60} \\ 20160 \\ \underline{60} \\ 20100 \\ \underline{60} \\ 20040 \\ \underline{60} \\ 19980 \\ \underline{60} \\ 19920 \\ \underline{60} \\ 19860 \\ \underline{60} \\ 19800 \\ \underline{60} \\ 19740 \\ \underline{60} \\ 19680 \\ \underline{60} \\ 19620 \\ \underline{60} \\ 19560 \\ \underline{60} \\ 19500 \\ \underline{60} \\ 19440 \\ \underline{60} \\ 19380 \\ \underline{60} \\ 19320 \\ \underline{60} \\ 19260 \\ \underline{60} \\ 19200 \\ \underline{60} \\ 19140 \\ \underline{60} \\ 19080 \\ \underline{60} \\ 19020 \\ \underline{60} \\ 18960 \\ \underline{60} \\ 18900 \\ \underline{60} \\ 18840 \\ \underline{60} \\ 18780 \\ \underline{60} \\ 18720 \\ \underline{60} \\ 18660 \\ \underline{60} \\ 18600 \\ \underline{60} \\ 18540 \\ \underline{60} \\ 18480 \\ \underline{60} \\ 18420 \\ \underline{60} \\ 18360 \\ \underline{60} \\ 18300 \\ \underline{60} \\ 18240 \\ \underline{60} \\ 18180 \\ \underline{60} \\ 18120 \\ \underline{60} \\ 18060 \\ \underline{60} \\ 18000 \end{array}$$


 IV. $201 \cdot 32 = 200 \cdot 30 + 1 \cdot 2 = 6002$

2) $80 \text{ სმ} - 30 \text{ სმ} = 50 \text{ სმ}$ $50 \text{ სმ} \cdot 8 = 400 \text{ სმ} = 4 \text{ მ}$
 ბლის მწკრივი გრძელია 4 მ-ით.

3)  1 წრეწირზე 5 მონაკვეთია
 სულ $4 \cdot 5 = 20$ მონაკვეთია

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი (მოსწავლისთვის გასაგები ენით).
- დაწერეთ, სწორად გადადგმული ნაბიჯებიდან რომლისთვის იმსახურებს მოსწავლე ყველაზე მეტად შექებას, დაშვებული შეცდომებიდან კი რომელია ყველაზე არსებითი? პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 4)



ბუნებისმეტყველება

34. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია ბუნებრივი რესურსები ამოწურვადი?

- (ა) მზის ბატარეებით ენერჯის გამომუშავებისას
- (ბ) ქარის ტურბინებით ელექტროენერჯის გამომუშავებისას
- (გ) საწვავი წიაღისეულის გამოყენებით ენერჯის გამომუშავებისას
- (დ) წყლის მიმოქცევის გამოყენებით ელექტროენერჯის გამომუშავებისას

35. ადამიანის სომატურ უჯრედებში ქრომოსომების რაოდენობა არის:

- (ა) 22
- (ბ) 23
- (გ) 32
- (დ) 46

36. კავკასიური სოჭნარი და ნაძვნარი ტყის სანახავად მოსწავლეებს წაიყვანდით:

- (ა) ლაგოდეხის ნაკრძალში
- (ბ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში
- (გ) თბილისის ეროვნულ პარკში
- (დ) კოლხეთის ეროვნულ პარკში

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ქიმიური პროცესი?

- (ა) შაქრის დადნობა და შემდეგ გაყინვა
- (ბ) შაქრის დანახშირება ცეცხლზე
- (გ) შაქრის დადნობა ცეცხლზე
- (დ) შაქრის გახსნა წყალში

38. ჩამოთვლილთაგან რომელია წიწვოვანი ტყე?

- (ა) სელვა
- (ბ) ტაიგა
- (გ) ტყესტეპი
- (დ) ტუნდრა

39. რა არის გამოსახული ილუსტრაციაზე?




- (ა) დელტა
- (ბ) ჩანჩქერი
- (გ) ჭორომი
- (დ) კანიონი

40. რომელი თანავარსკვლავედების მიხედვით შეიძლება გეოგრაფიული პოლუსების ყველაზე ზუსტად განსაზღვრა შეუიარაღებელი თვალით?

- (ა) დიდი დათვისა და სამხრეთის ჯვრის
- (ბ) პატარა დათვისა და სამხრეთის ჯვრის
- (გ) სამხრეთის გვირგვინისა და პატარა დათვის
- (დ) დიდი დათვისა და ჩრდილოეთის გვირგვინის

41. დაადგინეთ შესაბამისობა ვულკანურ ნაწილებს/პროდუქტებსა და მათს სახელწოდებებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ამა თუ იმ ნაწილის/პროდუქტის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი სახელწოდების ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ორი შესაძლო პასუხი ზედმეტია).

ვულკანის სქემა




სახელწოდებები

1. ვულკანური ყუმბარა
2. ლავური ტბა
3. ლავა
4. კრატერი
5. მაგმა

ა	ბ	გ

42. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოებზე გამოსახულ ორგანიზმებსა და მათი გადაადგილების საშუალებებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფოტოს აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი გადაადგილების საშუალების ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია).



ა



ბ



გ




დ

გადაადგილების საშუალებები

1. ფარფლი
2. შოლტი
3. ცრუფეხები
4. კიდურები
5. ფრთები

ა	ბ	გ	დ

43. ფოტოზე გამოსახული ორგანიზმები წარმოადგენს ერთგვარ „სავიზიტო ბარათს“ კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტისათვის. დაადგინეთ შესაბამისობა ორგანიზმებსა და გეოგრაფიულ ობიექტებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ცოცხალი ორგანიზმის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ ერთი პასუხი ზედმეტია).



ა) ბაობაბი

ბ) პინგვინი

გ) გრიზლი

დ) კენგურუ

გეოგრაფიული ობიექტები

1. აფრიკა
2. ანტარქტიდა
3. ავსტრალია
4. ჩრდილოეთ ამერიკა
5. სამხრეთ ამერიკა

ა	ბ	გ	დ

44. რომელი სტიქიური მოვლენის შედეგების პრევენციაზე საუბრისას იქნება ყველაზე ადეკვატური მოცემული ილუსტრაციის გამოყენება?

(მაქსიმალური ქულა 1)



45. ჩამოაყალიბეთ სავალდებულო საყოველთაო კალენდარული ვაქცინაციის მიზანი. პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა 1)

46. მოსწავლეებს ჩაუტარეთ ცდა: ნიახურის ფოთლებიანი მსხვილი ღერო მოათავსეთ ჭიქაში, რომელშიც ჩასხმულია მელნიანი წყალი.

აღწერეთ ცდის შედეგი და მიუთითეთ თემა, რომლის ასახსნელადაც გამოიყენებთ მოცემულ ცდას.

(მაქსიმალური ქულა 1)

47. მოკლედ მიმოიხილეთ დამმტვერავების როლი ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში; გამოიყენეთ მაგალითები და აღწერეთ, თუ რა მოხდება დედამიწაზე, დამმტვერავები რომ გაქრნენ.

(მაქსიმალური ქულა 2)

კითხვისა და წერის სწავლება

48. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტს, რომელშიც არ არის გამოყოფილი აბზაცები. მოსწავლეების ამოცანაა, გამოყონ ტექსტში აბზაცები და მიუთითონ თითოეული აბზაცის შესატყვისი საკვანძო სიტყვა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიზნის მიღწევას უწყობს ხელს აღნიშნული აქტივობა?


- (ა) ტექსტის შინაარსის ქრონოლოგიური თვალსაზრისით გააზრებას
- (ბ) ტექსტის მთავარი აზრის გაგებას, არგუმენტირების უნარის განვითარებას
- (გ) ტექსტის ლოგიკური სტრუქტურის გაგებას, მისი შემადგენელი ლოგიკური ერთეულების გამოყოფას
- (დ) ტექსტის დეტალურ ანალიზს, ცალკეულ მონაკვეთებში მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვას

49. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია გამოგვადგება ყველაზე ნაკლებად კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად, თუკი გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს?

- (ა) წასაკითხი ტექსტის თემის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით
- (ბ) მოსწავლისთვის შესაძლებლობის მიცემა, თავად აირჩიოს საკუთარი როლი კითხვის ჯგუფური აქტივობების დროს
- (გ) მასწავლებლის მიერ კითხვისას მოსწავლეთა ძალისხმევის აღნიშვნა და წახალისება
- (დ) შეჯიბრების მოწყობა კითხვისას ყველაზე სწრაფი მკითხველის გამოსავლენად



50. ქეთი კითხვისას ერთმანეთში ურევს შ-წ, მ-წ ასოებს. მასწავლებელმა მისთვის რამდენიმე განმავითარებელი სავარჯიშო შეარჩია:

I. იპოვე ასოები, რომლებიც ზუსტად ისეთია, როგორც ჩარჩოში ჩასმული ასო:



მ წ შ ნ წ წ შ მ მ წ შ ნ წ ნ მ

II. იპოვე სურათი, რომელზეც იგივეა გამოსახული, რაც პირველ სურათზე:



III. იპოვე თევზი, რომელიც ზუსტად იმავე მიმართულებით მიცურავს, საითაც ჩარჩოში ჩასმული თევზი:



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია დალაგებული სავარჯიშოები მარტივიდან რთულისაკენ?

- (ა) I, III, II
- (ბ) II, III, I
- (გ) III, I, II
- (დ) III, II, I

51. მასწავლებელი მიმართავს მეორე კლასის მოსწავლეს: „მე ახლა დაფაზე დავწერ სიტყვას „მზესუმზირა“. შენ კი ამ სიტყვაში მოცემული ასოების გამოყენებით შეადგინე სხვა სიტყვები“.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიზნის მიღწევას არ უწყობს ხელს აღწერილი აქტივობა?

- (ა) ლექსიკური მარაგის გამდიდრებას
- (ბ) სიტყვის დეკოდირების უნარის განვითარებას
- (გ) ვერბალური ინსტრუქციის გაგებასა და შესრულებას
- (დ) არსებული ლექსიკური მარაგის გააქტიურებასა და გამოყენებას

52. გიგის უჭირს კითხვა, სიტყვის დაბოლოებებს მიხვედრით კითხულობს, რაც შეცდომით ამოკითხვის მიზეზი ხდება. ეს მას წაკითხულის გააზრებაში უშლის ხელს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე შესაფერისი აქტივობა გიგის დასახმარებლად?

- (ა) ასოების უაზრო მწკრივში ასოთა ზოგიერთი თანმიმდევრობა ქმნის სიტყვას. გიგის ამოცანაა, ასოთა ამ მწკრივში იპოვოს და გადახაზოს სიტყვები.
- (ბ) მასწავლებელი გიგის აძლევს ტექსტს. ბიჭის ამოცანაა, ტექსტში იპოვოს და გადახაზოს სიტყვები, რომლებიც მასწავლებლის მიერ მითითებულ ასოზე იწყება.
- (გ) მასწავლებელი გიგის აძლევს ტექსტს და ასახელებს რამდენიმე სიტყვას. ბიჭის ამოცანაა, ტექსტში იპოვოს და გადახაზოს მასწავლებლის მიერ დასახელებული სიტყვები.
- (დ) ასოების უაზრო მწკრივში, რომელიც ფურცელზეა მოცემული, გიგიმ უნდა იპოვოს და გადახაზოს მასწავლებლის მიერ მითითებული ასოები.

53. მასწავლებელი მეორე კლასის მოსწავლეებს უკითხავს მარტივ ტექსტს: „იყო ერთი მხიარული ჯამბაზი. მას გაბუმტული წითელი ცხვირი ჰქონდა. ცისფერი თვალები უციმციმებდა. წითელი ტუჩები სულ უცინოდა. ყვითელ თმას მწვანე ქუდი უფარავდა...“ და სთხოვს, ტექსტის მიხედვით გააფერადონ ჯამბაზის სილუეტი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარების განვითარებას ისახავს მასწავლებელი მიზნად?

- (ა) ფერების ერთმანეთისგან გარჩევისა და ცნობის
- (ბ) ვიზუალური და აკუსტიკური ინფორმაციის დამახსოვრების
- (გ) წერილობითი ინსტრუქციის გაგებისა და დამოუკიდებლად შესრულების
- (დ) მოსმენილი სიტყვიერი ინსტრუქციის გაგების, დამახსოვრებისა და შესრულების

54. მასწავლებლის ამოცანაა, დაადგინოს, რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტის საფუძველზე. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დავალებაა საუკეთესო ამ მიზნის მისაღწევად?

- (ა) „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“ – როგორ ადამიანს აღწერს ეს გამოთქმა? (მშრომელს, მედიდურს, პატარას)
- (ბ) გადახაზე ის ზედმეტი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით „მცენარეს“ არ უკავშირდება: ბუჩქი, ფიჭვნარი, რიყე, ჯეჯილი, რტო
- (გ) წინადადებაში სწორად გაანაწილე მოცემული სიტყვები: კრიალა, ანკარა „——— წყალში ——— კენჭები მოჩანს.“
- (დ) ხაზგასმული სიტყვები შეცვალე მნიშვნელობით მსგავსი სიტყვებით: „კლკისპირულ წვიმაში ბიჭი თავიდან ფეხებამდე გალუმპულიყო.“

55. ანა ტექსტს სწრაფად, მაგრამ უყურადღებოდ კითხულობს. შესაბამისად, თემას იაზრებს, თუმცა, დეტალებს ვერ აღადგენს სწორად. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ადეკვატური სტრატეგია გოგონას დასახმარებლად?

- (ა) მასწავლებელი ანას აძლევს ტექსტს, რომელშიც შინაარსობრივი შეცდომებია დაშვებული. გოგონამ უნდა იპოვოს ეს შეცდომები და გაასწოროს.
- (ბ) მასწავლებელი ანას წასაკითხად აძლევს ტექსტს და შემდეგ სთხოვს, მოიფიქროს შეკითხვები ამ ტექსტთან დაკავშირებით.
- (გ) მასწავლებელი ანას წასაკითხად აძლევს საშუალო სირთულის ტექსტს. გოგონამ საკუთარი სიტყვებით უნდა გადმოსცეს ტექსტის ძირითადი აზრი.
- (დ) მასწავლებელი მიუთითებს თემას წაკითხული ტექსტიდან, ანამ უნდა იპოვოს ტექსტში ის მონაკვეთი, რომელშიც ეს თემა განხილული.

56. მასწავლებელს მომზადებული აქვს ბარათები, რომლებზეც მოცემულია ნახატები შესაბამისი წარწერებით, მაგალითად, „ქუდი“, „საათი“ და ა. შ. ბარათებს მასწავლებელი შემდეგი აქტივობისთვის იყენებს: მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ბარათებზე დაწერილი სიტყვები და შემდეგ, ბარათების დაუხმარებლად, ამოიცნონ ეს სიტყვები დაფაზე წინასწარ დაწერილ წინადადებებში.

56.1. კითხვის სწავლების რომელ მეთოდს შეესაბამება აღნიშნული აქტივობა?
(მაქსიმალური ქულა 1)

56.2. რა ძირითადი სირთულე შეიძლება წარმოშვას კითხვის სწავლების დროს მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენებამ?

- (ა) კითხვის პროცესი მოსაწყენი ხდება ბავშვისთვის და კითხვისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.
- (ბ) ბავშვებს უჭირთ გამოცდილების გადატანა ახალ სიტუაციაში და, შესაბამისად, სირთულეები ექმნებათ უცნობი სიტყვების ამოკითხვის დროს.
- (გ) ბავშვები ორიენტირებულნი არიან სიტყვების ამოცნობაზე და სირთულეები ექმნებათ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებაში.
- (დ) ბავშვი ეჩვევა სიტყვის შესაბამის ნახატთან ერთად აღქმას და ნახატის გარეშე უჭირს სიტყვის ამოკითხვა, რაც შემდგომში აფერხებს კითხვის ტემპს.

57. კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციის მიხედვით, ფონოლოგიური ცნობიერების გასავითარებელ სავარჯიშოებში აუცილებელია ბავშვისთვის კარგად ნაცნობი სიტყვების გამოყენება. მოიფიქრეთ ამ რეკომენდაციის საუკეთესო დასაბუთება.

(მაქსიმალური ქულა 1)

58. წაკითხეთ IV კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

მეცნიერებს უძველესი დროიდან აინტერესებდათ ჩაძირული სამეფოები. მათ შორის ყველაზე ცნობილია ლეგენდარული ატლანტიდა. ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელიც მოგვითხრობს ატლანტიდის შესახებ, არის ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის, თხზულება. მასში იგი, ეგვიპტურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით, აღწერს მთაგორიან, ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ სამეფოს. მოსახლეობას მშვიდობიანად და ბედნიერად უცხოვრია. თუმცა, „ერთ საშინელ დღესა და საშინელ ღამეს“ მათი ბედნიერება დასრულდებოდა. ბუნებრივი კატასტროფის შედეგად კუნძული ზღვაში ჩაძირულა. საუკუნეების განმავლობაში პლატონის ეს ცნობა ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა. ატლანტიდის შესახებ მრავალი წიგნი დაიწერა. მეცნიერები კატასტროფის სხვადასხვა ადგილს ასახელებენ: ესპანეთი, ჩინეთი, ანტარქტიკა... ზოგიერთ მეცნიერს კი მიაჩნია, რომ ატლანტიდა პლატონის ფანტაზიის ნაყოფია.

58.1. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს ასწავლოთ ფაქტისა და მოსაზრების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამოწერეთ ტექსტიდან ორი წინადადება, რომლებსაც გამოიყენებდით ნიმუშებად ამ მიზნის მისაღწევად.

(მაქსიმალური ქულა 1)

ფაქტი:

მოსაზრება:

58.2. ამოიწერეთ ტექსტიდან წინადადება, რომლის გამოყენებითაც დაადგენდით, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი მიმართების დანახვა.

(მაქსიმალური ქულა 1)

58.3. ზემოთ მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლითაც დაეხმარებოდით მათ არგუმენტირების უნარის განვითარებაში. მოიყვანეთ მოსწავლის ერთი შესაძლო პასუხი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე.

(მაქსიმალური ქულა 1)

შეკითხვა:

სავარაუდო პასუხი:

58.4. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა, რომლითაც დაეხმარებოდით მათ მთლიანი ტექსტიდან დასკვნის გამოტანაში.

(მაქსიმალური ქულა 1)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

40 წლის წინ ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა, უოლტერ მიშელმა, ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგების თანახმადაც, უნარი – უარი თქვა მომენტალურ სიამოვნებაზე, ჯილდოზე და დაელოდო უფრო დიდ სარგებელს – ადამიანის ცხოვრებისეული მიღწევების განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 700-მდე ბავშვმა, რომელთა ასაკი 4-დან 6 წლამდე მერყეობდა. თითოეულ ბავშვს შესთავაზეს ერთი მარმელადის ნაჭერი და დაჰპირდნენ მეორე მარმელადის მიცემას იმ შემთხვევაში, თუ ისინი 15-20 წუთს მოითმენდნენ და არ შეჭამდნენ ამ მარმელადს. ბავშვი გემრიელი მარმელადით მარტო რჩებოდა ოთახში, მის რეაქციებს კი ფსიქოლოგები კამერებით აკვირდებოდნენ. 10 წლის შემდეგ განმეორებითი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებმაც მოითმინეს და არ შეჭამეს მარმელადი, გაცილებით უკეთ სწავლობდნენ სკოლაში, უკეთ ამყარებდნენ ურთიერთობებს და უკეთ უმკლავდებოდნენ სტრესს.

უოლტერ მიშელმა აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ივარაუდა, რომ ჯილდოს მომავლისთვის გადადების უნარი პიროვნების სტაბილური ნიშანი, ანუ ხასიათის შემადგენელი ნაწილია. ის ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული და მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის მომავალ მიღწევებსა და წარმატებებს.

რამდენიმე წლის წინ მკვლევარი სელესტე კიდი, რომელიც უსახლკარო ბავშვებსა და მათს ოჯახებს აკვირდებოდა, დაექვდა, რამდენად ადეკვატური იყო „მარმელადის ტესტი“ ბავშვების თანდაყოლილი მოთმინების უნარის აღმოსაჩენად. თუ ბავშვი მიჩვეულია, რომ დანაპირებს ხშირად არ უსრულებენ, მაშინ ხომ რაციონალური გადაწყვეტილებაა, არ დაელოდო დიდ ჯილდოს. მკვლევარმა და მისმა კოლეგებმა ექსპერიმენტის პირობები გაართულეს: ბავშვების ორ ჯგუფს ფანქრები და გასაფერადებელი ალბომები მისცეს, გაფერადების დაწყება სთხოვეს და დაჰპირდნენ, რომ ცოტა ხანში კიდევ უფრო ლამაზ ფანქრებს მოუტანდნენ. ბავშვების პირველი ჯგუფი განგებ მოატყუეს და არაფერი მისცეს, მეორე ჯგუფმა კი დაპირებული ჯილდო მიიღო. ექსპერიმენტის მეორე ნაწილი მიშელის ექსპერიმენტის ანალოგიური იყო. პირველი ჯგუფის ბავშვების უმეტესობამ, მეორე ჯგუფისგან განსხვავებით, დაუყოვნებლივ შეჭამა მარმელადი. აღნიშნული შედეგების საფუძველზე კიდმა გამოიტანა შემდეგი დასკვნა: ბავშვის უნარი, გადაავადოს ჯილდოს მიღება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სანდოა მისი გარემო.

უოლტერ მიშელის ექსპერიმენტის შეფასებისას ზოგიერთი მკვლევარი წერდა, რომ სწორედ ამ უნარმა მოუტანა კრომანიონელებს გამარჯვება ნეანდერტალელებზე და კაცობრიობა პროგრესის გზაზე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ მიშელის თეორია გენეტიკურ მოცემულობას უსვამს ხაზს, წლების შემდეგ მან გამოსცა წიგნი „მარმელადის ტესტი; თვითკონტროლის გაუმჯობესება“. თუმცა, ერთი რამ ცხადია, „მარმელადისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა გაცილებით უფრო ადვილია მათთვის, ვისაც ამის გაკეთება უკვე ბავშვობაში შეეძლო.

59. I აზრაცში:

- (ა) დასმულია საკითხი, რომელსაც ეხება მთელი დანარჩენი ტექსტი.
- (ბ) განხილულია ჯილდოზე უარის თქმის განმაპირობებელი ფაქტორები.
- (გ) წარმოდგენილია ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ფენომენის კვლევის ისტორია.
- (დ) დასმულია საკითხი, რომლის აქტუალობა ეჭვქვეშაა დაყენებული ტექსტის დანარჩენ ნაწილში.

60. რამ შეუქმნა საფუძველი უოლტერ მიშელს, რომ მოთმინების უნარი პიროვნების სტაბილურ მახასიათებლად მიეჩნია?

- (ა) ექსპერიმენტის მონაწილე ბავშვების რაოდენობამ
- (ბ) მოთმინების უნარსა და მიღწევებს შორის კავშირმა
- (გ) მარმელადთან მარტო დარჩენილ ბავშვებზე დაკვირვებამ
- (დ) სტრესთან გამკლავებისა და კომუნიკაციის უნარის ურთიერთკავშირმა

61. რომელია ის დამატებითი ფაქტორი, რომელიც, კიდისაგან განსხვავებით, მიშელს კვლევისას არ გაუთვალისწინებია?

- (ა) დროის გავლენა
- (ბ) გამოცდილების გავლენა
- (გ) ჯილდოს მიმზიდველობა
- (დ) წარმატება სხვადასხვა სფეროში

62. რატომ არ დაელოდნენ სელესტე კიდის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში პირველი ჯგუფის ბავშვები დაპირებულ ჯილდოს?

- (ა) ამ ჯგუფის ბავშვებმა, მეორე ჯგუფისგან განსხვავებით, მოთმინების ნაკლები უნარი გამოავლინეს.
- (ბ) ამ ჯგუფის ბავშვებს, მეორე ჯგუფისგან განსხვავებით, რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი აღმოაჩნდათ.
- (გ) ამ ჯგუფის ბავშვებმა, მეორე ჯგუფისგან განსხვავებით, დაპირებული ჯილდო ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს.
- (დ) ამ ჯგუფის ბავშვებს, მეორე ჯგუფისგან განსხვავებით, დანაპირების შეუსრულებლობამ იმედი გაუცრუა.

63. რატომ გაუჩნდა სელესტე კიდს ეჭვი „მარმელადის ტესტთან“ დაკავშირებით სწორედ უსახლკარო ბავშვებსა და მათ ოჯახებზე დაკვირვებისას?

- (ა) უსახლკარო ბავშვებს მოთმინების უნარი ნაკლებად აქვთ განვითარებული და, შესაბამისად, ისინი გადავადებულ ჯილდოს არ ელოდებიან.
- (ბ) უსახლკარო ბავშვებს ნაკლები მიჯაჭვულობა აქვთ ოჯახებზე და, შესაბამისად, მოთმინების უნარის ჩამოყალიბებაზე გარემოს ზემოქმედება სუსტია.
- (გ) უსახლკარო ბავშვებზე დაკვირვებამ მკვლევარი დააფიქრა მოთმინების უნარისა და მომავალში წარმატებულობის კავშირის არსებობაზე.
- (დ) უსახლკარო ბავშვების მოთხოვნილებები უმეტესად დაუკმაყოფილებელია და, შესაბამისად, ისინი ხშირად არიან ფრუსტრირებულნი.

64. მიშელის მიერ გამოქვეყნებული წიგნის სათაური იმაზე მეტყველებს, რომ:

- (ა) მკვლევარმა უარყო მოთმინების უნარის გენეტიკური მოცემულობა და ამ უნარის მხოლოდ გარემოს ზემოქმედებით განვითარებაზე გააკეთა აქცენტი.
- (ბ) მოთმინების უნარის გენეტიკური მოცემულობის მიუხედავად, მკვლევარმა აღიარა გარემოს ზემოქმედებით ამ უნარის განვითარების შესაძლებლობაც.
- (გ) მკვლევარს წლები დასჭირდა თვითკონტროლის უნარის გენეტიკური მოცემულობის უარსაყოფად და ამ უნარის გასავითარებელი მექანიზმების აღმოსაჩენად.
- (დ) მკვლევარმა თვითკონტროლის უნარის გენეტიკური მოცემულობა აღიარა და ამავდროულად ამ უნარის გაუმჯობესების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

65. „... სწორედ ამ უნარმა მოუტანა კრომანიონელებს გამარჯვება ნეანდერტალელებზე და კაცობრიობა პროგრესის გზაზე დააყენა.“ – ამ წინადადებით ავტორს სურდა ეთქვა, რომ მეცნიერებმა:

- (ა) აღიარეს მიშელის მიერ შესწავლილი უნარის მნიშვნელობა და კავშირი ადამიანის მომავალ წარმატებასთან.
- (ბ) აღმოაჩინეს მიშელის მიერ შესწავლილი უნარის ბიოლოგიური განპირობებულობა და მისი კავშირი ადამიანის მომავალ მიღწევებთან.
- (გ) მიშელის კვლევის დახმარებით აღმოაჩინეს შესწავლილი უნარის განვითარებაში როგორც ბიოლოგიური, ასევე, გარემო ფაქტორების როლი.
- (დ) მიშელის კვლევის დახმარებით გააცნობიერეს, რომ კაცობრიობას პროგრესული განვითარების პოტენცია აქვს.

ანალიტიკური წერა

66. წაკითხეთ ნაწყვეტი ჩარლზ დიკენსის მოთხრობიდან და ერთი ტერმინის განმარტება:

„ოლივერ ტვისტი“

„შვიდი წლის ოლივერს თხუთმეტ შიმშილისგან დასუსტებულ მოზარდთან ერთად ეძინა. ბავშვებს ვახშმად, ჩვეულებრივ, წყალწყალა შვრიის ფაფა ჰქონდათ. პატარები მაგიდას მჭიდროდ შემოუსხდებოდნენ და თვალის დახამხამებაში ასუფთავებდნენ ჯამებს. მათ საჭმელი არ ჰყოფნიდათ. ერთხელ კენჭი ჰყარეს, ვინ ეტყოდა ამის შესახებ თავშესაფრის პატრონს. ეს მისია ოლივერს ხვდა წილად.“

ოლივერი შიმშისგან კანკალებდა. საშინელ სიჩუმეს დროდადრო მისი ფეხის ხმა არღვევდა. „მადლობა ღმერთს, მე არ მომიწია ამის გაკეთება“, იკითხებოდა თითოეული ბავშვის თვალებში.

როგორც იქნა, ბიჭმა მისტერ ბამბლამდე მიაღწია. თავშესაფრის პატრონი ისე უყურებდა, როგორც მწერს, რომელსაც სიამოვნებით გასრესდა.

ოლივერმა თავი გაიმხნევა და ძლივს წაიჩურჩულა:

- გთხოვთ, მისტერ, კიდეც ცოტა...

მისტერ ბამბლმა თვალები გადმოკარკლა და გაცოფებულმა დაუღრიალა:

- როგორ ბედავ?! – ხელი უხეშად მოჰკიდა და ბნელ სარდაფში ჩაკეტა.

გამწარებულმა ოლივერმა მისი სიტყვები გაიგონა:

- არავის არასდროს მოუთხოვია ზედმეტი ულუფა. ეს ბიჭი ნამდვილი ავაზაკია!“

სტიგმა

ძველ საბერძნეთში სტიგმა ნიშნავდა დამლას, რომელიც ადამიანს კანზე ჰქონდა გამოსახული. სტიგმით მიანიშნებდნენ ამ პიროვნების დაბალ მორალურ სტატუსზე. მსგავსი ნიშნით, ჩვეულებრივ, მონას, მოღალატეს ან დამნაშავეს გამოარჩევდნენ. მე-20 საუკუნიდან ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება, თუმცა, ახლა სტიგმა ფიზიკურად კი არ არის გამოხატული, არამედ გულისხმობს ე. წ. იარლიყების მიწებებასა და ამგვარად პიროვნების დისკრედიტაციას, მაგალითად, „ის ხელმოცარული ადამიანია“, „ის მოღალატეა“, „ის უნიჭოა“... შეიძლება დადებითი შინაარსის იარლიყიც იქცეს სტიგმად, მაგალითად, „ის დაუმარცხებელია“, „ის ვუნდერკინდია“...

ესა თუ ის კონკრეტული ჯგუფი თავს ახვევს სხვებს ქცევის გარკვეულ სტანდარტებს, რომელთა დარღვევაც ჯგუფის მხრიდან მათ გარიყვას და სტიგმატიზაციას იწვევს. სტიგმას ხშირად ვხვდებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც გარკვეული ნიშნით გამოარჩევენ ბავშვებს და სტიგმის მსხვერპლად აქცევენ (ამ ბავშვების შესაძლებლობების მიუხედავად).

- იმსჯელეთ, როგორ ხდება „იარლიყების მიწებება“, რა განაპირობებს სტიგმატიზაციას;
- იმსჯელეთ სხვადასხვა სახის იარლიყების მიწებების შედეგებზე;
- მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

